

| <b>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა</b>   |  |
|---|--|
| მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა              |  |
| <b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</b>     |  |
|   | 180  |
| <b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>                |  |
|   | სოციალური მეცნიერებების მაგისტრი მასობრივ კომუნიკაციაში  |
| <b>სწავლების ენა</b>                            |  |
|   | ქართული  |
| <b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b>         |  |
|   | <p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: მასობრივი კომუნიკაციის აქტუალურ პრობლემათა კვლევის, საზოგადოებრივი აზრის განვითარების ტენდენციების პროფესიულ პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობაში შემოქმედებითად გამოყენების სწავლება; მასობრივი კომუნიკაციის სფეროში მაგისტრის აკადემიური ხარისხის, მაღალი კომპეტენციის, კრეატიული თვისებებისა და თანამედროვე, დემოკრატიული აზროვნების მქონე პიროვნების ფორმირება, რომელიც დასაქმდება მასკომუნიკაციის სფეროში, როგორც მედიის მმართველობით, ისე შემოქმედებით და ინდივიდუალურ პოზიციებზე, აგრეთვე, შესაძლებლობა ექნება შემოქმედებითი პოტენციალი მოსინჯოს საერთაშორისო მედიაფორმატებში. კურსდამთავრებულს ექნება მასკომუნიკაციის მიმართულებით თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული მასშტაბური და სისტემური ცოდნა, რომელიც გამოუმუშავებს ეფექტიანი თანამშრომლობისა და მედიის მართვაში, აგრეთვე მედიის მარკეტინგში, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების უნარებს მართვის კომპლექსური პრობლემების კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების გზით, რაც განაპირობებს მის წარმატებულ შრომით კარიერას და უზრუნველყოფს სტუდენტს დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებისა და შემდგომი დასაქმების შესაძლებლობით.</p> |
| <b>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</b> |  |
| <b>ცოდნა და გაცნობიერება:</b>                   |  |
|   | <p>მაგისტრანტს აქვს გლობალიზაციის, ფსიქოლინგვისტიკის, კულტურათაშორისი კომუნიკაციების, ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების, საინჟინრო-ტექნიკური აზრის განვითარების ეტაპების შესახებ სისტემური ცოდნა. მაგისტრანტი აცნობიერებს ჩამოთვლილ სფეროებში განხორციელებულ ცვლილებებსა და ტრანსფორმაციებს.</p> <p>მაგისტრანტს აქვს მასკომუნიკაციის ღრმა და სისტემური ცოდნა,</p>  |



რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას. აცნობიერებს მასკომუნიკაციაში არსებულ კონკრეტულ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

მაგისტრანტს შეუძლია ზოგადდარგობრივი ცოდნა გამოიყენოს მომავალ პუბლიცისტურ თუ კვლევით საქმიანობაში.

შეუძლია ახალ, მუდმივად ტრანსფორმირებად მედიაგარემოში კრეატიული მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებში სწორი ინფორმირება, კრიზისულ მედიაგარემოში რისკფაქტორების განსაზღვრა, მედიასივრცეში ინტერნეტტექნოლოგიებისა და სხვა უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.

**დასკვნის უნარი:**

მაგისტრანტი ერთმანეთს ადარებს თანამედროვეობის აქტუალური მოვლენებისათვის დამახასიათებელ მონაცემებს, განიხილავს მათ და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნას.

მაგისტრანტს ექნება გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო, მნიშვნელოვანი ინფორმაციის, მათ შორის, უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებისა და კომუნიკაციის უნარი:

შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების წარდგენა აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ჟურნალისტური ეთიკის დაცვითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.

**კომუნიკაციის უნარი:**

მაგისტრანტი შეძლებს კომუნიკაციას გლობალიზაციის პრობლემატიკაზე; კომუნიკაციას მასობრივი კომუნიკაციის პროფესიული სფეროს ფსიქოლოგიურ და ფსიქო-სოციალურ პრობლემებზე.

მაგისტრანტი შეძლებს კომუნიკაციას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და მის მიერ არჩეულ მიერ არჩეულ უცხოურ ენაზე;

ასევე, შეძლებს კომუნიკაციას მშობლიურ და უცხო ენებზე როგორც



|  |   |
|--|---|
|  | <p>პროფესიულ, ისე მასობრივ აუდიტორიებთან, ამ აუდიტორიებისათვის მულტიმედიური ტექსტების შექმნას და კვლევების თაობაზე კომუნიკაციის დამყარებას; ზოგად კომუნიკაციას ახალ, მულტიდისციპლინარულ გარემოში;</p> <p><b>სწავლის უნარი:</b><br/>მაგისტრანტს შეუძლია სწავლის გაღრმავება პროგრამის ფარგლებში შესწავლილი დარგების მიხედვით.<br/>შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების მაღალ დონეზე გაცნობიერება და შემდგომი სწავლის სტრატეგიულად დაგეგმვა გლობალურ მედიაგარემოში.</p> <p><b>ღირებულებები:</b><br/>მაგისტრანტს შეუძლია პროფესიული, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა;<br/>მაგისტრანტი იცავს ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის სფეროში საერთაშორისო და რესპუბლიკური ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ მედიაეთიკის მიღებულ ნორმებს.</p> |
|  | <p><b>შეფასების წესი</b></p> <p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.<br/>დადებითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</li> <li>• (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;</li> <li>• (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;</li> <li>• (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;</li> <li>• (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.</li> </ul> <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</li> <li>• (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</li> </ul>                             |
|  | <p><b>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)</b></p>   |
|  | <p>ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge</p>  |





|  |
|--|
| <b>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა</b>  |
| ეკონომიკა  |
| <b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</b>  |
| <b>120</b>   |
| <b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>   |
| ეკონომიკის მაგისტრი  |
| <b>სწავლების ენა</b>   |
| ქართული  |
| <b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b>  |
| <p>ეკონომიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საკაცობრიო ჰუმანისტურ ღირებულებებზე ორიენტირებული, ინოვაციებზე დამყარებული თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევის, დამოუკიდებელი აზროვნების, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის უნარების მქონე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის, ეკონომიკური პოლიტიკის, საერთაშორისო ეკონომიკის, ეკონომეტრიკის, გლობალური ეკონომიკური სივრცის განვითარების მიზეზებისა და მიმართულებების ღრმა და სისტემური ცოდნა და შეძლებს ორიგინალური თეორიული და ემპირიული პრაქტიკული იდეების შემუშავებას, ახალ გაუთვალისწინებელ გარემოში წარმატებულ საქმიანობას.</p>  |
| <b>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</b>  |
| <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b><br/> აქვს ეკონომიკის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრის გზებს. გაცნობიერებული აქვს და იცის: სოციალურ-ეკონომიკური პროცესები და მათი შეფასებისა და გადაჭრის აუცილებლობა; ინოვაციური პოლიტიკის სარგებლიანობა; გლობალიზაციის თანამედროვე პროცესები თავისი თანმხლები შედეგებით; ცოდნის, როგორც განსაკუთრებული პროდუქტის, როლი და მნიშვნელობა; საერთაშორისო საინვესტიციო ურთიერთობების მიზანშეწონილობა და სარგებლიანობა; სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში მათემატიკური აპარატის გამოყენების უპირატესობა; სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა; საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის პრობლემები.</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b><br/> შეუძლია: ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის წარმართვა; სხვადასხვა წყაროდან (მათ შორის, ინტერნეტიდან) უახლესი სოციალურ-ეკონომიკური</p> |



ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, შეჯერება, ინტერპრეტაცია და განზოგადება; ეკონომიკის თანამედროვე კონცეფციებისა და პრინციპების შესახებ არგუმენტირებული მსჯელობა; ეკონომიკური პროექტების შედგენა და დასაბუთება; ინოვაციური პროცესების დაგეგმვა და დაფინანსების პროექტის მომზადება; საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი შედეგების გათვალისწინება; კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების გაანგარიშება; საერთაშორისო საინვესტიციო რისკების გამოვლენა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავება; ეკონომიკაში რაოდენობრივ-სტატისტიკური მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება.

### **დასკვნის უნარი**

შეუძლია: რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; ინოვაციური პროექტების განხორციელების აუცილებლობის დასაბუთება; გლობალიზაციის ლიდერი, ახალი ინდუსტრიული და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების სტრატეგიების შეფასება; გლობალურ სამყაროში საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციების დადგენა; ცოდნის მართვის სტრატეგიების შეფასება, ცოდნის იდენტიფიკაცია და ახალი ცოდნის შექმნის აუცილებლობის დასაბუთება; საერთაშორისო საინვესტიციო მოდელების ანალიზი და კვალიფიციური დასკვნების წარმოდგენა; ქვეყნებს შორის ინვესტიციების გადანაწილების მოდელების შეფასება; ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასება.

### **კომუნიკაციის უნარი**

შეუძლია: თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ ეკონომიკური სფეროს საზოგადოებასთან ზეპირი და წერილობითი ფორმით ქართულ და უცხოურ ენებზე; ინვესტორებთან საქმიანი ურთიერთობა და დიალოგი; როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან ეკონომიკის სფეროს საკვანძო საკითხებზე თავისი მოსაზრებისა და არგუმენტაციის საჯაროდ პრეზენტაცია, შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით მათი დასაბუთება და საქმიან დისკუსიასა და მოლაპარაკებებში აქტიური მონაწილეობა; გუნდური გადაწყვეტილებების შემუშავებაში პროფესიული მონაწილეობა.

### **სწავლის უნარი**

შეუძლია: სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვა; დამოუკიდებლად, სპეციალური ლიტერატურის გამოყენებით, საკუთარი ცოდნის გაღრმავება და განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის გაგრძელება.

### **ღირებულებები**

შეუძლია: ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; ინტერკულტურულ და ინტერდისციპლინურ ჯგუფებში შედეგიანი პროფესიული მუშაობა; მსოფლიოს



კულტურათა მრავალფეროვნების შეცნობა და გააზრება; საზოგადოების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის სტაბილური და ზრდადი ეკონომიკის მნიშვნელობის შეფასება; ეკონომიკურ განვითარებაზე განსხვავებული კულტურული ფასეულობების ზემოქმედების განსაზღვრა.

### შეფასების წესი

**შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.**

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)**

ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge







| <b>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა</b>   |  |
|---|--|
| <b>საზოგადოებრივი ურთიერთობები</b>              |  |
| <b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</b>     |  |
|   | 120  |
| <b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>                |  |
|   | საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრი  |
| <b>სწავლების ენა</b>                            |  |
|   | ქართული  |
| <b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b>         |  |
|   | საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაგისტრანტში კრიტიკული, სიღრმისეული მეცნიერული აზროვნების განვითარება და მოქალაქეობრივი ცნობიერების, საკაცობრიო, ჰუმანისტური ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი მაგისტრის მომზადება საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში.   |
| <b>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</b> |  |
|   | <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროს ფუნდამენტური საკითხები, პიარ ღონისძიებების, პიარ კამპანიების, პიარ ივენთების დაგეგმვა და ჩატარება; აცნობიერებს საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროს ეფექტური მართვის მნიშვნელობას; აქვს დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა.</li> <li>• იცის ხარისხიანი მედიის მიზნები, ამოცანები, პროფესიული სტანდარტები და ზნეობრივი ასპექტების დაცვა; აცნობიერებს საზოგადოების დეზინფორმირების ტექნოლოგიების გამოყენების მეთოდებს.</li> <li>• იცის ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების, იგივე მარკომის მნიშვნელობის და სოციო-ეკონომიკური როლის განსაზღვრება; აცნობიერებს მარკომის, როგორც აკადემიური დარგის ძირითად ცნებებსა და თეორიებს;</li> <li>• აცნობიერებს პუბლიცისტიკის ჭეშმარიტ არსს; პუბლიცისტიკის საუკეთესო ნიმუშების გაცნობით ეზიარება ოსტატობის ხერხებს;</li> <li>• კომუნიკაციური პროცესის სტრუქტურული კომპონენტებისა და ძირითადი ეტაპების თავისებურებათა გაცნობიერება; ეთნოცენტრიზმისა და სტერეოტიპიზაციის მოვლენათა სპეციფიკის გააზრება; ეფექტური ზეპირი და წერილი ბიზნესკომუნიკაციის პრინციპების თავისებურებათა</li> </ul> |



გაცნობიერება. ინგლისურ ენაზე საქმიანი დოკუმენტაციის წარმოების ძირითადი თავისებურებებისა და სპეციფიკის ცოდნა. ზეპირი საქმიანი კომუნიკაციის თავისებურებების და სპეციფიკის ცოდნა.

- აქვს კამათის ხელოვნების თანამედროვე ტენდენციების სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავებისა და პრობლემების გადაჭრის გზების გაცნობიერების საშუალებას; პიროვნებათშორის და ჯგუფთაშორის კომუნიკაციებში კამათის ტექნოლოგიების მნიშვნელობისა და როლის გააზრებისა და კრიტიკული შეფასების უნარი.
- ორიგინალისა და თარგმანის კომუნიკაციური თანაბარ-ღირებულებიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების თავისებურებათა გაცნობიერება; ეკვივალენტურობის პრობლემის სიღრმისეული გააზრება თარგმანის უახლეს თეორიათა კონტექსტში; თარგმანის სემანტიკური და პრაგმატული ასპექტების თავისებურებათა გაცნობიერება; თარგმნითი ტრანსფორმაციების, თარგმანის ლექსიკური და გრამატიკული საფუძვლების სპეციფიკის გააზრება; მთარგმნელობითი სტრატეგიის დეტერმინანტების თავისებურებათა გაცნობიერება; ტექსტთა ფუნქციონალური ტიპოლოგიისა და სტილის ეკვივალენტურობის არსის გააზრება; ორიგინალის ტერმინოსისტემისა და ლექსიკური მარაგის სპეციფიკის გაცნობიერება. ტექნიკური ტექსტების თარგმნის სტრატეგიების თავისებურებათა საფუძვლიანი ცოდნა ლექსიკურ, გრამატიკულ, სემანტიკურ და სტილისტიკურ დონეებზე. ტექნიკური ტექსტების თარგმნის მეთოდების თავისებურებათა დეტალური გააზრება.
- აქვს რეკლამისა და პრომოციის საკითხების, თეორიებისა და მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას. აცნობიერებს რეკლამისა და პრომოციის დარგის კომპლექსურ საკითხებს და მათი ინტეგრირების საჭიროებას.
- აქვს რეკლამის ფსიქოლოგიის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, აცნობიერებს რეკლამის ფსიქოლოგიის კომპლექსურ საკითხებს, კერძოდ: როგორ, როდის და რა ტექნოლოგიებით შესწევს უნარი სარეკლამო კამპანიას ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინოს ადამიანზე და მის გადაწყვეტილებებზე.



- იცის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რაობა, კონცეფცია და ტერმინები, აცნობიერებს დარგის აქტუალურ პრობლემებს და მისი გადაჭრის გზებს; აცნობიერებს ბიზნეს სექტორში მომხმარებელთა ინტერესების დაცვისა და პროდუქტზე პასუხისმგებლობის აღების აუცილებლობას.
- იცის მოლაპარაკების პროცესის თავისებურებანი; აცნობიერებს მოლაპარაკების არსებით ფუნქციას მხარეთა შორის სრულფასოვანი ურთიერთობების ჩამოყალიბების საქმეში; იცის მოლაპარაკების პროცესში გადაწყვეტილების მიღების სტრატეგიული და ტაქტიკური ხერხები; იცის მოლაპარაკებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოება და მომზადება; მედიაციის მიზანშეწონილობა და სახეობები; მედიაციის პრინციპები და ფუნქციები; იცის მედიაციის ფსიქოლოგიური საფუძვლები, მედიატორის ქცევის მოდელები და აცნობიერებს მედიაციის ეფექტურობის ხარისხს; იცის მანიპულაციისა და სიცრუის ტექნოლოგიების ამოცნობა და მათი ეფექტიანი მართვის ხერხები; აცნობიერებს კამათის ხელოვნების თანამედროვე ტენდენციების სიღრმისეული გააზრებისა და კრიტიკული შეფასების აუცილებლობას;
- იცის კვლევის მეთოდების არსის განსაზღვრა; აცნობიერებს ემპირიულ ცოდნისა და მეცნიერული მეთოდების მნიშვნელობას; იცის საკვლევო კითხვის განსაზღვრა, ჰიპოთეზის ფორმულირება და აცნობიერებს მათ ფუნქციას კვლევის პროცესში; იცის სოციალური მეცნიერების კვლევის შემადგენელი ნაწილები; იცის კვლევის არაექსპერიმენტული მეთოდების გამოყენების თანამედროვე ხერხები; იცის ემპირიული დაკვირვების სახეობები და აცნობიერებს მათ ფუნქციურ თავისებურებებს; იცის საკვლევო დოკუმენტის ანალიზის მეთოდები; იცის მასიური გამოკითხვის და ინტერვიუს ჩაწერის თანამედროვე მეთოდები; იცის კვლევის ანგარიშის შედგენა; შეუძლია ინოვაციების სტრატეგიული მართვის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების გაცნობიერება;
- იცის საჯარო პოლიტიკური მართვის მოდელები და მათი მნიშვნელობა დემოკრატიული პროცესებისთვის; აცნობიერებს პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემების ტიპოლოგიას.
- იცის განწყობის ფსიქოლოგიის ზოგადი პრინციპები, აცნობიერებს განწყობის ფენომენის როლს ფსიქოლოგიაში; იცის მიზანშეწონილი



ქცევის ფსიქოლოგიური კანონზომიერებები; იცის სუბიექტის აქტივობის დონეზე მოქმედი განწყობის თავისებურებანი და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას საზოგადოებრივ ურთიერთობაში, იცის სოციალური განწყობის თავისებურებანი, ანტისოციალური ქცევის პრევენციის გზები და მეთოდები განწყობის თეორიის თვალსაზრისით; აცნობიერებს ქცევის არადისპოზიციური ფაქტორებს და ნებელობის ფენომენს განწყობის თეორიის თანამედროვე დისკურსში; იცის განწყობის თეორიის თანამედროვე ხედვები და მათი როლი საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

- შეუძლია სამთავრობო, არასამთავრობო, კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების დაკვეთით კვლევის დაგეგმვა და ჩატარება. პიარ ღონისძიებების, პიარ კამპანიების, პიარ ივენთების წარმართვა, სხვადასხვა ორგანიზაციების იმიჯისა და რეპუტაციის გაუმჯობესება, ანტიკრიზისული გეგმის შედგენა, პიარ სპეციალისტის ფუნქციების ეფექტურად შესრულება.
- შეუძლია საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკაში მედიის მიზნობრივად გამოყენება და საზოგადოებრივი ინტერესის დაცვა;
- შეუძლია პუბლიცისტური ნაწარმოების, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმის შექმნისთვის ძირითადი დებულებების პრაქტიკული გამოყენება;
- შეუძლია მედიახერხების პიარპრაქტიკაში გამოყენება;
- შეუძლია პრომოციულ და სარეკლამო ტექნოლოგიების კამპანიაში ჩართვა, კვლევა და დაგეგმვა; შეუძლია მედია საშუალებების სწორად შერჩევა, რეკლამის განთავსება; შეუძლია სარეკლამო ტექსტის შექმნა, სხვადასხვა სარეკლამო ტექნოლოგიებისა და პრომოპროდუქციის შექმნა-გავრცელება.
- შეუძლია პუბლიცისტიკის მრავალმხივი ხედვა და პუბლიცისტური ნაწარმოების საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის ეფექტურად და ეფექტიანად გამოყენება;
- შეუძლია იმიტაციურ თამაშებში ათვისებული პროფესიული უნარების პრაქტიკული გამოყენება.
- შეუძლია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აქტუალური პრობლემების ანალიზის შედეგად მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ადექვატურად გამოყენება, ნებაყოფლობით სოციალური პროექტების განხორციელება; დაინტერესებული მხარეების გამოვლენა, მათთან კომუნიკაცია და დიალოგის წარმართვა;



- შეუძლია კონკრეტული კომუნიკაციური სიტუაციისათვის შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება; ეფექტური ზეპირი და წერიტი შეტყობინების ადეკვატური აღქმა და პროდუცირება საქმიანი საუბრის, დებატების, მოლაპარაკების, ინტერვიუს, პრეზენტაციის, საქმიანი მიმოწერისა და დოკუმენტაციის თემატიკის ფარგლებში. ამავე ჩარჩოებში ზეპირი და წერილობითი შეტყობინებების ადეკვატური აღქმა, პროდუცირება და კონსტრუირება.
- შეუძლია ადეკვატური მთარგმნელობითი სტრატეგიის შერჩევა; ადეკვატური თარგმნითი ტრანსფორმაციების გამოყენება; ორიგინალის კომუნიკაციური ღირებულების ტრანსპოზიცია თარგმანში. თარგმნის პროცესში ენობრივი კომპონენტების განსაზღვრა და შეცდომების გასწორება. ტერმინოლოგიით თავისუფალი მანიპულირება და მისი მიზანმიმართული გამოყენება დარგობრივ თარგმანში. თარგმანის პროცესში ტექნიკური თარგმანისთვის დამახასიათებელი გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) და სტილისტიკური თავისებურებების გათვალისწინება;
- შეუძლია მიზანშეწონილი ქცევის ფსიქოლოგიური კანონზომიერებების გამოყენება საზოგადოებრივ ურთიერთობებში; ეფექტიანად იყენებს სუბიექტის აქტივობის დონეზე მოქმედ განწყობის თავისებურებებს და სოციალური განწყობის ფაქტორს საზოგადოებრივ ურთიერთობებში; შეუძლია ანტისოციალური ქცევის პრევენცია განწყობის ფსიქოლოგიური ფაქტორების გამოყენებით; შეუძლია ქცევის არადისპოზიციური ფაქტორების და ნებელობის ფენომენის გამოყენება საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

### დასკვნის უნარი

- კრიზისული სიტუაციებისა და კონკურენტული გარემოს სიღრმისეული, მეცნიერული შესწავლისა და ანალიზისათვის აუცილებელი დასკვნების გამოტანის უნარი;
- თანამედროვე მედიის სისტემური განხილვა-ანალიზით გამოიმუშავებს კრიტიკული ანალიზის უნარს;
- მონაცემების სიღრმისეული, მეცნიერული ანალიზის შედეგად მოპოვებული ინფორმაციიდან პროფესიული საქმიანობისათვის სიტუაციურად აუცილებელი დასკვნების გამოტანისა და ადეკვატური ქმედებების განსაზღვრის უნარი.
- ენობრივი კომუნიკაციის ინტენციის გათვალისწინებით ადეკვატური ენობრივი ერთეულების არჩევა და ორიგინალისთვის შესატყვისის დადგენა. თარგმანის ტექსტის ენობრივი ერთეულების ორიგინალის



ლექსიკურ ერთეულებთან შეპირისპირების საფუძველზე კონტექსტისათვის შესაბამისი ერთეულის განსაზღვრის მიზნით ამ პრობლემის განხილვა და მსჯელობის შედეგად დასკვნის გაკეთება.

- პოლტიკის ანალოჟი მოვლენათ სინთეზირების, ინტეგრირებისა დ დგეგმვის უნარ, საჯრო პოლტიკაში პროცესების კრიტიკულანალტიკური შეფსების, მოვლენების რაციონალური პროგნოზირებისა დ ალტერნატივების შედენის უნარ;
- აქვს კატეგორიულ მონაცემების მულტივარიაციულ ანალიზის უნარ; აქვს დსციპლინათშორისი ხასიათის მეთოდებისა დ პროცედურების განსაზღვრის, გააზრების დ შესაბამისი დასკვნების გაკეთების უნარ.

### კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია ვერბალური, არავერბალური, კულტურათაშორისი, ინტერპერსონალური და სხვა საკომუნიკაციო მეთოდებით, სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიებამდე საკვანძო საინფორმაციო გზავნილების მიწოდება.
- შეუძლია ზეპირი და წერილობითი ფორმით ცოდნის დამაჯერებლად და დასაბუთებულად წარმოჩენა;
- შეუძლია საქმიანი კორესპონდენციის შედგენა;
- შეუძლია მოლაპარაკების ორგანიზაცია (მოლაპარაკებისათვის მომზადება, პარტნიორებისაგან შემდგარი დელეგაციის მიღება);
- შეუძლია მოლაპარაკების პროცესში ნორმალური ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა;
- შეუძლია მოლაპარაკების მხარეთა ინტერესების გათვალისწინება მოლაპარაკების სტრატეგიისა და ტაქტიკის შერჩევის გზით;
- შეუძლია ეფექტური ზეპირი და წერილი ბიზნესკომუნიკაციის წარმართვა. თანამედროვე უცხოენოვან საქმიან სფეროში დამაჯერებელი და პროფესიონალური კომუნიკაციის უნარი. საკუთარი აზრისა და საქმიანი წინადადებების ზუსტი და მკაფიო გადმოცემის უნარი, როგორც ზეპირი , ასევე წერილობითი სახით.
- შეუძლია ორგანიზაციასა და სოციალურ ჯგუფებთან ურთიეთობების დამყარება და გაუმჯობესება;
- შეუძლია პროფესიულ დონეზე მიაწოდოს პოლიტიკურ სტრუქტურებსა და საჯარო პოლიტიკის აქტორებს მიღებული ცოდნა, არგუმენტირებულად დაიცვას თავისი აზრი და დამაჯერებლად ჩაებას დისკუსიაში; შეუძლია პოლიტიკის ანალიზის პროცესში გაცვალოს თავისი ანალიტიკური მუშაობის შედეგები, ჩამოაყალიბოს ალტერნატივები და სათანადო კონსულტაციები გაუწიოს პოლიტიკურ-



მმართველობით სტრუქტურებს.

### სწავლის უნარი

- სამეცნიერო - პროფესიული ლიტერატურის სიღმისეული დამუშავების უნარი;
- საჭიროებიდან გამომდინარე სამაგისტრო კვლევისა და სწავლის დაგეგმვის უნარი;
- დამოუკიდებლად მაპროფილებელი ლიტერატურის გაცნობით ცოდნის ამაღლება.
- დამოუკიდებლად პროფესიული უნარების გამომუშავების, პრობლემატიკის შერჩევისა და შესწავლის უნარი.

### ღირებულებები

- სახელმწიფოებრივი, პროფესიული და ეთიკური - მოქალაქეობრივი და პროფესიული პასუხისმგებლობა, პროფესიული და ეთიკური ნორმების პატივისცემა, კანონმორჩილება;
- საზოგადოებასთან ურთერთობის პრაქტიკაში მედიაპუბლიცისტიკის მნიშვნელობის შეფასება და აღიარება.
- ზეპირი და წერიტი ბიზნესკომუნიკაციის ეთიკური ნორმების დაცვა. ლინგვისტური ცოდნის ფასეულობათა ღრმა გააზრება და დაცვა საქმიანი კომუნიკაციისას.

### შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ



|   |  |
|---|--|
|   | სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. |
| საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი) |  |
| ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge     |  |



**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა**

**არქეოლოგია**

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)**

**120**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

არქეოლოგიის მაგისტრი

**სწავლების ენა**

ქართული

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია არქეოლოგიის მაგისტრის მომზადება, რომელსაც ექნება ღრმა, სისტემური ცოდნა კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ისტორიის, საველე-საძიებო ტექნიკა- ტექნოლოგიების და არქეოლოგიური არტეფაქტების კონსერვაციის და ტექნიკური ექსპერტიზის სფეროში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი**

**იცნობს**

სხვადასხვა ხასიათის არქეოლოგიური ძეგლის გათხრის, არქეოლოგიური არტეფაქტების თეორიული და სტილური ანალიზის, კონსერვაციის, მეტალოგენური ქანების - არქეოლოგიურ-მინერალოგიური სტრუქტურის და არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ლითონის ნაკეთობათა ინტერდისციპლინური კვლევის ხერხებს და მეთოდებს, სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზის ლაბორატორიული ექსპერიმენტის უახლეს სქემას, მეცნიერული, მიზნობრივი ტექსტის სტრუქტურას და ფორმატირების პრინციპებს.

**განმარტავს**

მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მეცნიერული დამუშავების და ექსპერიმენტის შედეგებს, არქეოლოგიური კულტურების ისტორიულ კონტექსტს, არქეოლოგიური ძეგლების დაცვის და უსაფრთხოების, მატერიალური კულტურის ძეგლის ექსპერტიზის პრინციპების თეორიული და პრაქტიკული და არქეოლოგიური მონაპოვრის კომპლექსური კვლევის ტექნიკა-ტექნოლოგიის სქემის რეალიზაციის, ასევე - პეტროგრაფიული ანალიზის საფუძველზე კერამიკული მასალის ქრონოლოგიური არეალის განსაზღვრის მექანიზმებს.

**იყენებს**

სპეციალურ ცოდნას ძველი ისტორიის რეკონსტრუქციისათვის, არქეოლოგიური გათხრების დამოუკიდებლად წარმოებისა და არქეოლოგიური კულტურული ფენების ფიქსაციისათვის, გეომორფოლოგიური კვლევითი მიდგომების არქეოლოგიური ძიების პრობლემის გადასაწყვეტად ადაპტირებისათვის, მიზნობრივი აკადემიური ტექსტის დამოუკიდებლად მომზადებისათვის.

**ადგენს**



ძეგლის დაზიანების წყაროს და მასშტაბს (და მის აღმოსაფხვრელ ღონისძიებათა გეგმას), არქეოლოგიური ძეგლის წარმომავლობასა და იდენტიფიკაციის პარამეტრებს, არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული არტეფაქტების კულტურულ ლოკალიზაციას.

**ოპერირებს**

თანამედროვე ლაბორატორიული ანალიზის მეთოდებით ორგანული და არაორგანული მასალების ლაბორატორიული რესტავრაციის, სიძველეთა და სახვითი ხელოვნების ნიმუშთა და ბუნებრივი და ხელოვნური მინერალების და მათი ნაკეთობების ტექნიკური ექსპერტიზის თუ ექსპონატების სამუზეუმო რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესში, არტეფაქტის ტექნიკური და კომპლექსურ-ლაბორატორიული კვლევის ექსპერიმენტში, სანახელავო ქვების დიაგნოსტიკაში.

**ასაბუთებს**

არქეოლოგიურ ძეგლზე არსებული ინფორმაციის მართებულობას, ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე ფორმულირებულ დასკვნას, არტეფაქტის ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული კვლევის მიმართულებას, სიძველეთა კონსერვაციის სქემის კორექტირების საჭიროებას, ახალდმოჩენილი მასალის მახასიათებლებზე დაყრდნობით ადეკვატურ დასკვნას, აუდიტორიის წინაშე არქეოლოგიური კვლევების წარმართვის პოტენციალის სრული ანალიზის მონაცემებს.

**იზიარებს**

პროფესიულ სფეროში დამკვიდრებულ და მოწინავე საზოგადოებების მიერ აღიარებულ ნორმებს.

**შეფასების წესი**

**შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.**

**დადებითი შეფასებებია:**

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა. უარყოფითი შეფასებებია:
- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)**

ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge



**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა**

ევროპისმცოდნეობა

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)**

**120**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

ევროპისმცოდნეობის მაგისტრი

**სწავლების ენა**

ქართული

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**

სამაგისტრო პროგრამის მიზანია ევროპის ქვეყნების მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესში განსხვავებული დისციპლინური მეთოდოლოგიების, ინტეგრაციის თეორიის, ევროპის პოლიტიკისა და ინსტიტუტების გადაწყვეტილებების შემუშავების, ეროვნული და რეგიონული მიდგომების სფეროს ღრმა თეორიული, კვლევითი და პრაქტიკული უნარების მქონე კონკურენტუნარიანი მაგისტრის მომზადება, რომელიც დამოუკიდებლად შეძლებს ინტერდისციპლინარულ გარემოში მუშაობას. მაგისტრანტებს შეასწავლოს ევროინტეგრაციის მიზეზები და მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, ინტეგრაციის წინაპირობები. შეუქმნას მათ ცოდნის მარაგი საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბების ისტორიულ ეტაპებზე.

**საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი**

**ცოდნა და გაცნობიერება:**

- აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ევროინტეგრაციის მეთოდებისა და მეთოდოლოგიის ძირითადი მიმართულებების შესახებ, ევროპის რეგიონული პოლიტიკისთვის დამახასიათებელი ინტეგრაციის ძირითად მიდგომებზე, ევროპის რეგიონალური პოლიტიკის პრიორიტეტებზე;
- აქვს სისტემური ცოდნა ევროპული პოლიტიკური წესრიგის ძირითადი მიმართულებების შესახებ, ევროკავშირის თანამედროვე დიპლომატიური საქმიანობის შესახებ და აცნობიერებს ევროკავშირის დიპლომატიის თანამედროვე პერსპექტივებს;
- აქვს სისტემური ცოდნა საქართველოს ევროპული იდენტობის საფუძვლებზე და აცნობიერებს მის ხელშემწყობ და შემაფერხებელ ფაქტორებს;



- აქვს სისტემური ცოდნა გლობალიზაციის ტენდენციებთან დაკავშირებულ სხვადასხვა თეორიებზე. აცნობიერებს გლობალურ სამყაროში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს;

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით შეუძლია ევროკავშირის განვითარების, გაფართოების შედეგების და პერსპექტივების შესახებ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.
- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით შეუძლია ევროპული ინტეგრაციის შესახებ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.
- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით შეუძლია ევროკავშირის ძირითადი წამყვანი სახელმწიფოების ერთმანეთთან თანამშრომლობის შესახებ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.
- შეუძლია კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება რეგიონალური პოლიტიკის ძირითად პრობლემებზე და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ახორციელებს რეგიონული პოლიტიკის ძირითადი ასპექტების ადაპტირებას თანამედროვე ევროპაში. ახდენს რეგიონალიზმის მსოფლიო განვითარების ტენდენციების კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების ძიებას;

**დასკვნის უნარი:**

- უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით სიღრმისეულად შეუძლია ევროკავშირის განვითარებისა და ინტეგრაციის შესახებ დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.
- აკეთებს დასაბუთებულ დასკვნას ევროპის რეგიონული პოლიტიკის ძირითად საკითხებზე. შეუძლია რეგიონალიზმისა და ინტეგრაციისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი;
- კვლევის საფუძველზე შეუძლია ევროკავშირის როლის განსაზღვრა თანამედროვე ევროპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში და შესაბამისი დასკვნების გაკეთება. კრიტიკულად აანალიზებს გლობალიზებულ სამყაროში ევროკავშირის როლსა და ადგილს და აყალიბებს შესაბამის დასკვნებს;
- ახდენს რთული და არასრული ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს გლობალიზაციის საკითხებზე. და ყოველივე ამის გათვალისწინებით შეუძლია დამოუკიდებელი, დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;

**კომუნიკაციის უნარი:**

- საკუთარი კვლევების საფუძველზე შეუძლია ევროკავშირთან დაკავშირებული საკითხების წარადგენა აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე;
- შეუძლია ჩაერთოს ევროპული რეგიონალური პოლიტიკის საკითხებზე



დისკუსიაში აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე;

- თავისუფლად შეუძლია თანამედროვე გლობალურ პროცესებთან დაკავშირებით დამოუკიდებელი დასკვნების ჩამოყალიბება და პროფესიული საზოგადოებისთვის წარდგენა ქართულ და უცხოურ ენებზე.
- შეუძლია რეგიონალიზმის თანამედროვე პროცესებთან დაკავშირებით დისკუსიაში ჩართვა და კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან;

### **სწავლის უნარი**

- თანმიმდევრულად და დამოუკიდებლად სწავლობს ევროკავშირის ინტეგრაციისა და გაფართოების პერსპექტივებს. საკუთარი მისწრაფებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ევროკავშირის შესახებ შეძენილი ცოდნის ბაზაზე მაღალ დონეზე გეგმავს შემდგომი სწავლის სტრატეგიას;
- შეუძლია ევროპის რეგიონალური პოლიტიკის შესახებ სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად მაღალი დონეზე დაგეგმვა;
- შეუძლია გლობალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა;
- სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით დამოუკიდებლად წარმართავს სწავლას თანამედროვე რეგიონალურ საკითხებზე;
- ახდენს სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებას და ევროკავშირის დიპლომატიისა და პროცესების პრაქტიკის დამოუკიდებლად წარმართვას;

### **ღირებულებები:**

- აფასებს ევროკავშირის ქვეყნების წარმატებულ ლიბერალურ ფასეულობებს და ისწრაფვის ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს.
- აფასებს ევროპულ ღირებულებებს და თავისი წვლილის შეაქვს მათ დამკვიდრებაში.
- აფასებს ევროპის ქვეყნების ისტორიულ და კულტურულ როლს, თანამედროვე მსოფლიოს თანამეგობრობაში; ერთგულია ისეთი ჰუმანური ღირებულებებისადმი, როგორცაა თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა, სიკეთისაკენ სწრაფვა, ტოლერანტობა, დემოკრატიისა და დემოკრატიული ცნობიერებისათვის ხელშეწყობა;
- ევროინტეგრაციული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა;
- მონაწილეობას იღებს და ისწრაფვის საკუთარი წვლილი შეიტანოს



|  |
|--|
| <p>ევროპული ღირებულებების დასამკვიდრებლად საქართველოში.</p>  |
| <p><b>შეფასების წესი</b></p>   |
| <p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.<br/>დადებითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</li> <li>• (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;</li> <li>• (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;</li> <li>• (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;</li> <li>• (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.</li> </ul> <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</li> <li>• (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</li> </ul> |
| <p><b>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)</b></p>  |
| <p>ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge</p>   |